

პირობითი მსჯავრის გაუქმება და მასთან დაკავშირებით არსებული
პრობლემური საკითხები საქართველოში

მარი ფაშალიშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სისხლის
სამართლის ფაკულტეტზე სისხლის სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად



ილიას სახელმწიფო
უნივერსიტეტი

სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამა
თემის ხელმძღვანელი : იოსებ ვარძელაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2024

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“.

მარი ფაშალიშვილი

25 ივნისი 2024

აბსტრაქტი

მოცემული ნაშრომი პირობითი მსჯავრის გაუქმების საკითხს განიხილავს კრიტიკულ განზომილებაში, ნათელს ჰფენს ცალკეული საკანონმდებლო ჩანაწერების ბუნდოვანებებსა და ამით გამოწვეულ კითხვის ნიშნებს პრაქტიკაში. კვლევა აქტუალურია, რადგანაც არ წყდება დისკუსია და აზრთა სხვადასხვაობა სამეცნიერო საზოგადოებაში, მათ შორის, პირობითი მსჯავრის იურიდიული ბუნების განსაზღვრის კრილშიც, ამასთანავე, ყურადღებას იპყრობს მისი გაუქმების პრობლემატური საკითხების აღმწერი მრავალი სტატია და ლიტერატურა. ნაშრომის მიზანია ნათელი მოჰფინოს პირობითი მსჯავრის გაუქმების ცალკეულ ხარვეზულ კანონმდებლობას, შესაბამისად, მისი დახვეწის საჭიროებას. საგულისხმოა, რომ ნაშრომი წარმართულია დოქტრინალური კვლევითა და სხვადასხვა კვლევის მეთოდის მეშვეობით, კერძოდ, ესენია: შედარებით-სამართლებრივი, სისტემური, ანალიზისა და სინთეზის, ისტორიულ-სამართლებრივი, აღწერითი-მიმოხილვითი და შეფასების მეთოდი.

ნაშრომში განხილულია პირობითი მსჯავრის ჩამოყალიბების ისტორიული ჩანასახები საქართველოსა და მსოფლიოში. კვლევაში ასახულია ამ ინსტიტუტის იურიდიული ბუნების არაერთგვაროვანი ხედვა და სხვადასხვა ავტორთა მოსაზრებები მის ირგვლივ. აგრეთვე, განმარტებულია პირობითი მსჯავრის გაუქმების მუდმივმოქმედი კომისიის არსებობის წინააღმდეგობა კონსტიტუციაში არსებულ ჩანაწერთან, რომელიც ამგვარი ლეგიტიმაციის მქონე ორგანოდ სასამართლოს მოიაზრებს. ასევე, განხილულია ამ კომისიისადმი პრობაციონერის მიერ ხელახლა მიმართვის ხანგრძლივი დროითი შეზღუდვა და გადაწყვეტილების მიღებისას შეფასების კრიტერიუმად დანაშაულის კატეგორიის გათვალისწინების მიზანშეუწონლობა. გარდა ამისა, გაანალიზებულია ადრე მოქმედი ჩანაწერი ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, გამოსაცდელი ვადის ნახევრის გასვლამდეც მისი

გაუქმების ცალკეული ასპექტები. აგრეთვე, გადმოცემულია პრობაციონერის მიერ დადგენილი ვალდებულებების სისტემატურად ან ჯიუტად შეუსრულებლობის თანმდევი პირობითი მსჯავრის შესაძლო გაუქმების შინაარსობრივი მხარე. ამასთანავე, გაანალიზებულია გამოსაცდელი ვადის პერიოდში გაუფრთხილებელი დანაშაულის ჩადენისას პირობითი მსჯავრის გაუქმების არაავტომატური ხასიათი, რაც უკავშირდება მოცემული დანაშაულებრივი ქმედების ბრალის დაბალი ხარისხს. გარდა ამისა, მოცემულია გამოსაცდელ ვადაში განზრახი დანაშაულის ჩადენისას პირობითი მსჯავრის გაუქმების უპირობო ხასიათი. ასევე, გადმოცემულია სასამართლოების ურთიერთსაწინააღმდეგო შეფასებები პირობითი მსჯავრის გაუქმების შესახებ გამოსაცდელი ვადის დასრულების შემდგომ ახალი დანაშაულისათვის განაჩენის გამოტანისას. ამასთანავე, გაანალიზებულია საპროცესო შეთანხმების შემთხვევაში გამოსაცდელი ვადის განმავლობაში პირობითი მსჯავრის გაუქმების საკანონმდებლო დანაწესის უფრო ნათლად ჩამოყალიბების აუცილებლობა. აგრეთვე, გადმოცემულია სამოქალაქო შეთანხმების არსებობის პირობებში პირობითი მსჯავრის გაუქმების მუდმივმოქმედი კომისიისადმი მიმართვის უფლებამოსილების მატარებელი პირის/ორგანოს კანონმდებლობაში ასახვის აუცილებლობა პრაქტიკაში მის შესახებ ბუნდოვანების პოტენციური წარმოშობის თავიდან ასაცილებლად. ხაზგასასმელია, აგრეთვე, ნაშრომში განხილული პირობითი მსჯავრის გაუქმების განზომილებაში კანონის უკუძალის არაერთგვაროვანი აღქმა შესაბამისი საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების მიმოხილვის მეშვეობით. გარდა ამისა, კვლევა ასახავს პირობით მსჯავრდებულის ძებნის გამოცხადებასთან დაკავშირებით არსებულ ურთიერთწინააღმდეგობრივ კანონმდებლობასა და მისი გარდაქმნის აუცილებლობას. ნაშრომი, ამასთანავე, განიხილავს საერთაშორისო სამართლებრივი კუთხით პირობითი მსჯავრის გაუქმების განსხვავებულ მოდელებს.

შედეგებისა და დასკვნის თავში გაანალიზებულია ყოველივე ზემოთხსენებული პრობლემური საკითხები, რომლებიც ძირითადად საკანონმდებლო ჩანაწერების

დაკონკრეტებისა, ან კონკრეტული საკითხების კანონებში ასახვის საჭიროებითაა განპირობებული. მოცემულია კონკრეტული რეკომენდაციებიც ამ მიმართულებით, მათ შორისაა, კანონმდებლის მიერ ხაზგასმა პირობითი მსჯავრის გაუქმებისათვის განაჩენის გამოტანის დროს გამოსაცდელი ვადის დასრულების საკითხის ირელევანტურობასთან დაკავშირებით.

საძიებო სიტყვები: პირობითი მსჯავრი, გამოსაცდელი ვადა, პრობაციონერი, პირობითი მსჯავრის გაუქმების მუდმივმოქმედი კომისია, სამოქალაქო შეთანხმება, საპროცესო შეთანხმება, ახალი დანაშაულის ჩადენა.

Abstract

The given work discusses the cancellation of the issue of a suspended sentence from a critical perspective, clarifies some obscure legislative records and addresses questions raised in practice as a result. The survey is current, as discussions and differing opinions continue within the scientific community. This includes the juridical nature of suspended sentence, as well as numerous articles and literature describing the problematic issues surrounding its cancellation, which attract attention. The aim of the work is to clarify flaws in legislation concerning the cancellation of suspended sentence; accordingly, the need to elaborate it. It is significant that the work uses doctrinal survey and various survey methods such as comparative-legal, systemic, analytical and synthesis, historical-legal, descriptive-reviewal, and assessment methods.

The work discusses the formation of historical germs of suspended sentences in Georgia and around the world. The survey shows diverse views on the juridical nature of this institute and opinions of different authors regarding it. Additionally, it explains the opposition of a permanent commission on the cancellation of suspended sentence to the existing constitutional provision, which designates the court as the body with such legitimacy. Also, it discusses the

long-term restriction for a person under a suspended sentence to address this commission again, and the inappropriateness of taking into account the category of crime as a criterion for assessment. Furthermore, analysis is provided on a previously active record due to health condition, specific aspects of its cancellation before half of the probation period expires. Also, it illustrates the principal aspect of the possible cancellation of a suspended sentence if the established duties by the person under the suspended sentence are systematically and stubbornly not fulfilled.

Moreover, the work analyzes the non-automatic nature of the cancellation of a suspended sentence during the probation period when a negligent crime is committed, which is connected with the low quality of guilt in the given criminal act. Additionally, it demonstrates the unconditional nature of the cancellation of a suspended sentence during the probation period when committing a deliberate crime. Also, it shows contrasting evaluations by courts regarding the cancellation of a suspended sentence after the probation period has ended when making a verdict for a new crime. Additionally, it analyzes the necessity of better clarifying legislative provisions for the cancellation of a suspended sentence in the case of plea bargain during the probation period. Additionally, it discusses the necessity of recording in legislation the person or body authorized to address the permanent commission for the cancellation of suspended sentences in cases involving civic agreements, to avoid potential ambiguity in practice. It should also be highlighted that the work addressed different perceptions of retroactive law through a review of appropriate constitutional court decisions in the dimension of the cancellation of a suspended sentence. Besides this, the survey illustrates existing different legislation regarding prosecution of a person under a suspended sentence and the necessity of its transformation. The work also addresses different models of the cancellation of suspended sentences in international law.

In the parts of results and conclusion, all the aforementioned problematic issues are analyzed, primarily determined by specifying legislative provisions or the necessity to address specific

issues in laws. Specific recommendations are also provided, including by legislator underlining the irrelevance of the issue of the probation period ending at the time of rendering a verdict for the cancellation of a suspended sentence.

Key words: suspended sentence, probation period, probationer, permanent commission on the cancellation of suspended sentence, civic agreement, plea bargain, committing new crime.